პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 25 (1661) ○ კვირა, 26 თებერვალი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.



# ტალინში შეიკრიბნენ რჩეული ფალავნები

ტალინი. 23 თებერვალს „კალევის" სპორტდარბაზში შედგა თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის XVII ჩემპიონატის საზეიმო გახსნა. პირველობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ფალავნები — თავისუფალი ჭიდაობის ცნობილი ოსტატები. აქ შეჯიბრება მიმდინარეობს უმძიმეს, ქვემსუბუქ, ქვესაშუალო და ქვემძიმე წონებში. ვიდრე დაიწყებოდა მიმდინარე წლის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, ჩვენ ვესაუბრეთ შეჯიბრების მთავარ მსაჯს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. კუხიანიძეს, რომელმაც განაცხადა:

— ეს შეჯიბრება უფრო იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ, სპეციალისტებმა უნდა დავინახოთ, თუ როგორ ვითარდება ჭიდაობის ეს სახეობა საბჭოთა კავშირში, უნდა დავადგინოთ ის კანდიდატურები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო პირველობაში მიმდინარე წელს. სასიხარულოა, რომ შეჯიბრებაში მონაწილეთა უმრავლესობა ახალგაზრდობაა. მოსალოდნელია, რომ ისინი გამოცდილ ოსტატებთან შეხვედრისას გამოავლენენ მაღალ ტექნიკას. შეჯიბრების დებულებაში ცვლილება არ არის. 6 საჯარიმო ქულის შემდეგ მოჭიდავე სტოვებს სარბიელს, თვითეულ წონაში 25 სპორტსმენი ეცილება ერთმანეთს ოქროს მედალს.

მთავარ მსაჯთან საუბრის შემდეგ, სარბიელზე გასვლამდე ვინახულეთ ჩვენი ოლიმპიელი ვ. რუბაშვილი. იგი უკვე სპორტულ აზარტში იყო შესული და შეკითხვებით აღარ გადავტვირთეთ. მივეცით მხოლოდ ერთი შეკითხვა: რა შთაბეჭდილება დარჩა მას, როცა გაეცნო მოწინააღმდეგეთა სიას. მან გვიპასუხა:

— გასულ წელს მირზოევთან შეხვედრის დროს ფეხი დავიზიანე და ამიტომ ოქროს მედალი სხვას „დავუთმე", ვეცდები წელს უფრო „ჭკვიანად" ვიჭიდაო.

მოვინახულეთ საქართველოს გუნდის სხვა წარმომადგენლები — გ. ბესტაევაშვილი, ნ. ხოხაშვილი, გ. სალარაძე, ზ. ბერიაშვილი, ძმები შენგელიები, შ. ლომიძე, ნ. გოგიბედაშვილი, ზ. შეყრილაძე და სხვანი.

შეჯიბრება დაიწყეს უმძიმესი წონის მოჭიდავეებმა. შეყრილაძე შეხვდა ბაქოელ ლარიბიანს. მან თავიდანვე იერიშით დაიწყო შებმა, ხოლო ლარიბიანი გაურბოდა ბრძოლის გამწვავებას. ჩოქბჯენში ზევიდან პირველად შეყრილაძე ჭიდაობდა, მაგრამ უშედეგოდ. როცა მოჭიდავეებმა ადგილები შეცვალეს და ბაქოელი ამზადებდა სახიფათო ფანდის ჩატარებას, შეყრილაძემ დრო იხელთა და კონტრილეთით საჭირო ქულა მოიგო და გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი. შესანიშნავად იჭიდავა თბილისელმა გაჩეჩილაძემ, რომელმაც ერევნელი ბოიაჯიანი უკანასკნელ წუთზე მიაკრა ხალიჩას.

ბრწყინვალედ ჩაატარა პირველი შეხვედრა რუბაშვილმა. მისი მოწინააღმდეგე იყო ლენინგრადელი შემარულინი. 12 წუთის განმავლობაში იგი წელში არ გასწორებულა და ლეიბის ხან ერთ, ხან მეორე კუთხეში იწვა თავდაღმა. აშკარა უპირატესობის გამო მსაჯთა კოლეგიამ რუბაშვილს წმინდა გამარჯვება მიუსაჯა.

თბილისელმა ხოხაშვილმა დაამარცხა კრუგლიაკოვი (ტალინი), მარტყოფიშვილისა და ბესტაევაშვილის შეხვედრა დამთავრდა პირველის წმინდა გამარჯვებით (მკითხველის საყურადღებოდ. ეს შეჯიბრება საუწყებოა, ამიტომ საქართველოს მოჭიდავეები კიდევ დადგებიან ერთმანეთის პირისპირ). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ცნობილი მოჭიდავე კულაევი, რომელიც ქვემძიმე წონაში გამოდიოდა, წონის მომატების გამო გამოეთიშა შეჯიბრებას.

ეს ყველაფერი მოხდა დილით, საღამოს სარბიელზე გამოვიდნენ ქვესაშუალო და ქვემძიმე წონის მოჭიდავეები. სალარაძემ ფიცხელ ბრძოლაში დაამარცხა ბალენერი

(დასასრული მე-3 გვ.)

## დღეს უკანასკნელი მატჩია

ოსლოში დაიწყო მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში ბურთით. საბჭოთა სპორტსმენები პირველ მატჩში შეხვდნენ ფინეთის ნაკრებს. პირველ პერიოდში გუნდების თავგანწირულ ცდათა მიუხედავად ანგარიში არ გახსნილა. მეორე ნახევარში საბჭოთა გუნდში მოხდა ცვლილება: ცენტრში პაპუგინი შეცვალა ოსინცევმა, მარცხენა გარემარბად გამოვიდა იზმოდენოვი, ხოლო ფრთაზე ახალგაზრდა ვარზინი, შორინმა დაიკავა ზაიცევის ადგილი ნახევარდაცვაში.

ამგვარმა მანევრმა გაამართლა: უკვე მესამე წუთზე ოსინცევის დარტყმული ბურთი მოხვდა ფინელთა მეკარეს და უკან დაბრუნდა, რომელსაც მიუსწრო მასლოვმა და ანგარიში გაიხსნა. 27-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანა ვარზინმა, რის შემდეგ ფინელებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა, ხანგრძლივი შტურმის შემდეგ მასლოვმა კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 3 : 1, მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე კი პაისკაწენმა 12-მეტრიან საჯარიმოდან კვლავ შეამცირა სხვაობა ანგარიშში — 3 : 2. ასე დამთავრდა ეს მატჩი. შვედმა ჰოკეისტებმა დაამარცხეს ნორვეგიელები — 2 : 1.

დღეს გაიმართება ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩები.



როგორც ამას წინათ ვიუწყებოდით, ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კოლექტივი ეწვია რუსთავის ქიმიური სასუქების ქარხანას და საჩვენებელი საღამო გამართა.

სურათზე: ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტი, ოლიმპიელი რ. შავლაყაძე საღამოს დაწყებამდე ოლიმპიური თამაშების შესახებ ესაუბრება შეკრებილთ.

## თებერვალია...!

თებერვალია ასე დიდებული,
გარშემო მზეა და წარმტაცი დარია,
სიყვარულია და ყვავილების სუნთქვა
და ჩვენ გვიხარია.

ძლიერ უხდებათ მთებს მწვანე კალთა,
მთებია, მზეა და ჩვენა ვართ ზევით,
მთები და მზეა სიცოცხლის კართან,
ორმოცი წელი უჭირავთ მხრებით.

გულს უჩვეულო ჟრუანტელი უვლის,
მასო, ერთად შევხვდებით იუბილარს;
ამდენ გამარჯვებას, სიახლეთა სურვილს,
დღეებს მოზღვავებულს, ნათელსა და მზიანს.

თებერვალია ასე დიდებული,
გარშემო მზეა და წარმტაცი დარია,
სიყვარულია და ყვავილების სუნთქვა
და ჩვენ გვიხარია.

გ. თავაძე

## ტურნირი იწყება 2 მარტს

2 მარტს შვეიცარიაში დაიწყება [...]ბიან ჰოკეისტთა 27-ე მსოფლიო ჩემპიონატი, რომლის პარალელურად გათამაშდება ევროპის პირველობაც. ამ დღეს ლოზანაში ჩვენი ქვეყნის ნაკრები ხვდება ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს. 24 თებერვალს საბჭოთა გუნდი შვეიცარიაში გაფრინდა. მის შემადგენლობაშია მეკარეები: ვ. კონოვალენკო, („ტორპედო", გორკი) და ვ. ჩინოვი („დინამო", მოსკოვი), მცველები: ნ. სოლოგუბოვი, ი. ტრეგუბოვი, ჰ. სიდორენკოვი, ვ. ბრეჟნევი (ყველა ცსკა), ა. რაგულინი („ქიმიკოსი", ვოსკრესენსკი).

თავდასხმაში თამაშობენ: კ. ლოკტევი, ა. ალმეტოვი, ვ. ალექსანდროვი (სამივე ცსკა), ძმები ბ. და ე. მაიოროვები, ვ. სტარშინოვი (ყველა „სპარტაკიდან"), ლოკომოტიველები ვ. იაკუშევი, ნ. სნეტკოვი და ვ. ციპლაკოვი, აგრეთვე დინამოელი ვ. იურზინოვი.

დღეს საბჭოთა სპორტსმენები შვეიცარიაში პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავენ ქალაქ შო დე ფონში.



თბილისის 22-ე საშუალო სკოლაში კარგად იციან, რომ წარმატება სპორტში თავისთავად არ მოდის, იგი ხანგრძლივ, ნაყოფიერ შრომას მოითხოვს. ამიტომაც სკოლის დირექცია და ფიზაღზრდის მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ პიონერული ასაკის ბავშვებთან მუშაობას.

სკოლაში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა იმშთ და მშთ ნიშნოსნების მომზადებას და უფრო დიდ ასპარეზზე მხოლოდ მათ აძლევენ საგზურს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ პირველ გამოცდებს — მოიპოვებენ ჯერ იმშთ, ხოლო შემდეგ მშთ სამკერდე ნიშნებს. ამასთან მუშაობა მათთან ისეა დაყენებული, რომ სკოლის ფიზკულტურული ბირთვი როდი კმაყოფილდება საკუთარი წარმატებებით. სპორტული დაოსტატების მეორე ეტაპზე გასულნი არ ივიწყებენ განვლილ გზას — დახმარების ხელს უწვდიან უმცროს კლასელებს, გადასცემენ მათ თავიანთ „გამოცდილებას“ და საგრძნობლად უმსუბუქებენ შრომას აღმზრდელებს.

სწორედ ასეთნი არიან მერვეკლასელები მ. ქოქუაშვილი და ჯ. კრიალაშვილი, მ. ქოქუაშვილი, რომელიც ამ სამიოდე წლის წინათ სკოლას იკლებდა ცელქობით, დარბოდა, ბურთაობდა, ხტებოდა, მაგრამ სისტემატურად არ მისდევდა სპორტს, ფიზაღზრდის უფროსმა მასწავლებელმა ვ. ჩიტიშვილმა მძლეოსანთა სექციის მეცადინეობაზე დაიბარა. ბავშვში გაიღვიძა ინტერესმა, შეუდგა რეგულარულ წვრთნას. ერთი წლის შემდეგ უკვე იმშთ-ს ნორმატივები ჩააბარა, ხოლო გასულ წელს მშთ-ს ნორმატივების ჩაბარებაში ისახელა თავი.



სკოლაში საერთო ფიზმომზადების სექციის გარდა ჩამოყალიბებულია სპორტული ტანვარჯიშის, ფეხბურთის, მძლეოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ველოსპორტისა და სხვ. სექციები, განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ტანვარჯიშის სექცია, რომელმაც რამდენიმე პირველთანრიგოსანი მოამზადა, ხოლო მ. კანკავა, ლ. კილტავა, ე. ქოჩეჩიშვილი, რ. ძამაშვილი და სხვები ეუფლებიან ოსტატის პროგრამას და რამდენჯერმე შეჯიბრებაზეც სცადეს ძალები.

სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს სპორტის მასობრიობის სწორი გეზი აქვს აღებული და მისი შემდგომი განვითარებით შესძლებენ იყვნენ მოწინავენი რაიონის სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის.

**სურათებზე:** ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ჩიტიშვილი პიონერებს, რომლებიც აბარებენ ნორმატივებს, ესაუბრება მომავლის გეგმებზე. მეორე სურათზე აღბეჭდილია თუ როგორ მეცადინეობენ ნორჩები ბაგირზე ცოცვაში. მესამე სურათი გადმოგვცემს მძლეოსანთა სექციის მეცადინეობას.



## შეხვედრები ლიდერთან

**ბაკურიანი.** 24 თებერვალი. „დინამოს“ ჰოკეის მოედანი. საქართველო („დინამო“)-ესტონეთი (ნაკრები) — 0:19 (0:8, 0:10, 0:1).

მსაჯები: საკავშირო კატეგორიის მსაჯი დ. სკვორცოვი და რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ნ. პეტროვი (ორივე მოსკოვი).

მეორე შეხვედრა თავის მოედანზე „დინამოს“ ჰოკეისტებს ჰქონდათ მოკავშირე რესპუბლიკათა პირველობის ლიდერთან — ესტონეთის ნაკრებთან, რომელიც ამ დღემდე 13 ქულით ედგა სათავეში გათამაშების ცხრილს. ეს შეხვედრაც „დინამოს“ ჰოკეისტებმა თავიანთი მწვრთნელისა და ლიდერის ვ. ზახაროვის გარეშე ჩაატარეს და კვლავ დიდი ანგარიშით წააგეს.

მათთვის, ვინც მხოლოდ უყურებს თამაშს, სადემონსტრაციო დაფაზე მიმდინარე ანგარიშით ზომავს ყველაფერს ასეთი დამარცხება შესაძლებელია გულის აცრუებისა და ხელის ჩაქნევის მიზეზი გახდეს. ეს იმიტომ, რომ ისინი ვერ ხედავენ იმას, რაც ამ ერთმანეთის პირისპირ გამოსული გუნდების ზურგს უკან დგას: ერთის მხრივ, მდიდარ, მრავალწლოვან ტრადიციებს, ხოლო მეორეს მხრივ — სამი თვის ვარჯიშს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება დაიბადოს კითხვა: ჯერ ადრე ხომ არ იყო ჩვენი მონაწილეობა ასეთი მაღალი კლასის გუნდების შეჯიბრებაში? ეს ასე იქნებოდა, რომ ჩვენს ახალბედებს გულის გატეხვა ეტყობოდეს, მაგრამ ეს ასე არაა. ამიტომაც შეიძლება ვიფიქროთ რომ, ისინი კარგ სკოლას გადიან, დენთის სუნს ეჩვევიან მომავალი პრინციპული ბრძოლებისათვის, რომლის გამართვასაც ისინი ორი, სამი წლის შემდეგ ვარაუდობენ.

* * *

გუშინ აღნიშნული გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, გაიმარჯვეს ესტონელებმა ანგარიშით — 17:1.

# XXII საჭადრაკო ჩემპიონატი

### მეექვსე ტური

შავებით მოთამაშეებს „შავი“ დღე დაადგათ. პირველად ეს განიცადა გამრეკელმა, რომელმაც ზერელედ გაითამაშა კარო-კანის დაცვა გულფელდის წინააღმდეგ. მან დაუკვირვებლად აიყვანა ცენტრალური პაიკი, და... ამის მიზეზით ჯერ გამოეთხოვა ლაზიერს, ხოლო შემდეგ პარტიას. აგრესიულად თამაშობდა ჩიქოვანი ხოლმოვთან. სიცილიურ დაცვაში ჩიქოვანმა მივიწყებული ვარიანტი გამოიყენა. მაგრამ გროსმაისტერმა ადვილად მოიგერია თავდასხმა, შეინარჩუნა ზედმეტი ფიგურა და გაიმარჯვა. ბერაძემ მწვავე დებიუტის გამოყენებით განიზრახა ინიციატივის ხელში ჩაგდება. მაგრამ შტეინი ფხიზლად თამაშობდა. მან უკუაგდო წყალტუბოელის მუქარები, თვითონ დაეუფლა თამაშს და მოიგო პარტია.

დანარჩენ პარტიებში ბრძოლა კიდევ რამდენიმე საათს გაგრძელდა, გიორგაძემ დებიუტიდან პასიური პოზიცია მიიღო გურგენიძესთან. არასწორი გეგმის არჩევით გიორგაძემ დაუშვა თეთრების გამანადგურებელი იერიში და დამარცხდა. კალატოზიშვილმა ჯანოევთან პარტია, რომელიც ორი მხედრის დებიუტით დაიწყო, თავიდანვე კომბინაციური იდეებით დამუხტა, ჯანოევი აყვა მეტოქის კომბინაციურ გართულებებს და მოიგო ლაზიერი ორ ფიგურაში. როგორც შემდეგ დადგინდა კალატოზიშვილმა ვერ მიიღო შესაფერისი კომპენსაცია. ჯანოევმა უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა. ეს იყო შავების პირველი წარმატება. შეინცვიტის წინააღმდეგ ეგიაშვილმა ენერგიულად გაითამაშა ძველინდური დაცვა. ორივე ფრთაზე მოქნილი მანევრებით იგი მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. როცა ეგიაშვილმა შექმნა ორი გადაბმული გამსვლელი პაიკი, შეინცვიტმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.

ტურის ბოლომდე გაგრძელდა ბუსლაევ-ლომაიას შეხვედრა. ბუსლაევი მთელი პარტიის მანძილზე ინარჩუნებდა მცირე, მაგრამ ნაღდ უპირატესობას. ცაიტნოტში ბუსლაევმა გაარღვია მოწინააღმდეგის ცენტრი და გამსვლელი პაიკები მიიღო. ლომაია დანებდა.

სამი პარტია გადაიდო. შიშოვს ადვილად მოსაგები პოზიცია აქვს ბლაგიძესთან, იზვოზჩიკოვი უპირატესობას ინარჩუნებს ბრეიტმანის წინააღმდეგ, ხოლო მიქაელიანი მატერიალურ უპირატესობას გაგუასთან პარტიაში.

### მეშვიდე ტური

ლომაიამ ხოლმოვის წინააღმდეგ გამოიყენა ბოტვინიკის სისტემა ძველინდურ დაცვაში და საგრძნობი პოზიციური უპირატესობა მიიღო. მალე „დაინისლა“ ხოლმოვის ლაზიერის ფრთა, სადაც თბილისელმა მოხდენილი კომბინაცია განახორციელა. 35-ე სვლაზე გროსმაისტერმა მიულოცა ლომაიას გამარჯვება.

კალატოზიშვილმა მოუგო ეგიაშვილს. გუფელდმა დაამარცხა ბერაძე. შტეინმა — ჩიქოვანი. გიორგაძემ ფიგურა „დაუსვა“ ბუსლაევს და მყისვე დანებდა. ყაიმით დამთავრდა გამრეკელ-გაგუას შეხვედრა.

## უძლიერესნი რინგზე (

**ბაქო.** (ტელეგრაფით ჩვენ სპეც. კორ.). აზერბაიჯანის სპორ ტული საზოგადოებრიობის ყურად ღების ცენტრშია სსრ კავშირი პირველობის ზონალური გათამა შება კრივში.

პირველ დღეს წარმატებას მიაღ წიეს საქართველოს გუნდის წევ რებმა. ჩობანიანმა დაამარცხა კი (ტაშკენტი), ჩოტულიდიმ — კალუ მოვი (ტაშკენტი), მაჭავარიანმა — ვანაიანი (ერევანი), თ. მიქაელიან მა — კრასილნიკოვი (მოსკოვი) კუჭავამ თანაბარ ბრძოლაში და მარცხება განიცადა მოსკოვე კრუპინთან.

## ყურადღება რეზერვებს

**ეხმაურებიან წერილს: „დავი ბრუნოთ საპრიზო ადგილები**

სპორტის ყოველი სახეობა თავ დასაწყისს ძირითადად სასკოლ ასაკში იღებს და სწორედ ამ დრო საა ადვილი ბავშვებში საჭირო ჩვ ვების დანერგვა და განვითარებ ფართოდაა ცნობილი, თუ რა მნიშ ვნელობა აქვს დაბალ კლასებში ნ ჭიერ სპორტსმენთა შერჩევას მათთან შესაბამისი მუშაობის წა მოებას.

მაგრამ ჩვენ, პრაქტიკულ მუშ კებს ბევრი რამ გვიშლის ხელ სკოლების უმეტესობას არ გააჩნ დარბაზები, ფიზიკურ აღზრდას ჯე კიდევ არა აქვს სათანადო ავტო რიტეტი როგორც სასწავლო დი ციპლინას და არ სარგებლობს დამწყვეტი უფლებით. ხშირია შე თხვევა, როცა მშობლები ანგარი არ უწევენ ბავშვის სურვილ და მონაცემებს, ხელს უშლიან მი გატაცებას სპორტით.

ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელ უნდა გააჩნდეს საქმისადმი უღ რესად დიდი სიყვარული. მას არ ასოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რო საქმე აქვს ახალი ადამიანის ფორ მირებასთან, ამიტომ უნდა დაი ტერესდეს თავისი აღსაზრდელ ცხოვრების პირობებით, ხასიათი შეუცდომლად გაერკვეს მისი ხასი ათის ყველა დეტალში.

**ნ. ყირქესალიშვილი**
ფიზაღზრდის მასწავლებელი

# ქუთაისელ მოჭიდავეთა გამარჯვება

საინტერესო ასპარეზობის მოწმენი გახდნენ რუსთავის სპორტის მოყვარულები. თებერვლის შუა რიცხვებში აქ ჩატარდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირადგუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, გორის, ჭიათურის, რუსთავისა და ზესტაფონის გუნდები.

სასიხარულოა, რომ პირველობის მონაწილეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ, რომელთაგან რამდენიმე მოჭიდავე პრიზიორთა შორისაც მოხვდა. უმჩატეს წონაში პირველობა დაისაკუთრა ქუთაისელმა ზ. ლეშქაშელმა. მჩატე წონის მოჭიდავეთაგან პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ქუთაისელი სპორტის ოსტატი ა. დათეშიძე და თბილისელი მ. მუზაშვილი. ორივე მოჭიდავემ კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოამჟღავნა და შეხვედრაც საინტერესო გამოდგა. სპორტის ოსტატს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მ. მუზაშვილმა და შეხვედრა ფრედ დამთავრდა, რაც მისთვის საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონის სახელის გასანაღდებლად და სპორტის ოსტატის ნორმის შესასრულებლად.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ქვემსუბუქ წონაში, სადაც 12 მოჭიდავიდან სამს — ქუთაისელებს ჯ. კოსტავას, ო. ხეცურიანს და თბილისელ ვ. მეკრავიშვილს ქულათა თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ, ხოლო მათი ურთიერთშეხვედრა ფრედ დამთავრდა. მხოლოდ მოგებებზე დახარჯული დროის სიმცირემ არგუნა უპირატესობა ქუთაისელ ჯ. კოსტავას. მეორე ადგილზეა მისი თანაგუნდელი 16 წლის ო. ხეცურიანი. მსუბუქ წონაში თავიდანვე დაწინაურებულმა თბილისელმა ა. გოგიჩაიშვილმა უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და პირველობაც გაინაღდა. ქვესაშუალო წონაში პირველობა წილად ხვდა ქუთაისელ ჯ. ჩლიქაძეს. საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა 1944 წელს დაბადებული თბილისელი ი. ფხაკაძე.

11-მა მოჭიდავემ მოიყარა თავი ქვემძიმე წონაში, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 17 წლის თბილისელმა გ. ხაბულიანმა. მან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადა თავის თანაგუნდელ ზ. მეშველიანთან, რომელმაც პირველობა დაისაკუთრა. მძიმე წონაში დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია აჭარის წარმომადგენელმა ნ. ძიმისტარიშვილმა. პირველი ადგილი 15 ქულით ქუთაისს დარჩა. მეორე ადგილი 16 ქულით დაიკავა თბილისის ნაკრებმა, მესამე — გორის გუნდმა. სუსტად გამოვიდა რუსთავის გუნდი, რომელმაც გასულ წელს მოპოვებული საპრიზო ადგილი დაკარგა.

**ა. ბარნოვი**

# თბილისის პირველობები

✦

## თავისუფალი ჭიდაობა

დამთავრდა თბილისის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობდა 68 სპორტსმენი.

უმჩატეს წონაში თ. კენტიშვილმა (ფიზკ. ინსტიტუტი) აქტიურად ჩაატარა შეხვედრები, მოიპოვა გამარჯვება და შეასრულა პირველი თანრიგის ნორმა.

მჩატე წონის მოჭიდავეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ა. ლობჟანიძემ (ფიზკ. ინსტიტუტი). აღსანიშნავია მსუბუქი წონის მოჭიდავის, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის ს. ქარსელაძის წარმატება. მან მოიგო შვიდი შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა.

ქვემსუბუქ წონაში პირველ ადგილზეა ი. ვალიშვილი („დინამო"), ქვესაშუალო წონაში — მ. ფარსიშვილი (ფიზკ. ინსტიტუტი), საშუალოში — პაპაშვილი („შრომითი რეზერვები"), ქვემძიმეში — სპარტაკელი ნ. ქავთარაძე, ხოლო მძიმე წონაში — დინამოელი მაჭავარიანი.

**ჯ. ახვლედიანი**

✦

## სამბო

მართალია, ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ წამყვანი ოსტატები და ზოგიერთი სპორტსაზოგადოება, მაგრამ შეჯიბრებამ მაინც საინტერესოდ ჩაიარა. აღსანიშნავია, რომ დემონსტრირებულ იქნა ღია მსაჯობა, რომელიც სამბოს საკავშირო ფედერაციამ შემოიღო.

როგორც კი მოჭიდავე ჩაატარებს ფანდს, მთავარი მსაჯი საჯაროდ აცხადებს მის შეფასებას, ამ წესით გვერდითი მსაჯები განიტვირთნენ სამდივნო საქმეებით, ხოლო მონაწილენი და მაყურებლები თავიდანვე საქმის კურსში არიან.

თბილისის 1961 წლის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ჩ. ქუცნიაშვილი, ი. ჯანგირაშვილი, ი. გუშარაშვილი, ი. გამილაღდიშვილი (ყველა „დინამოდან"), თ. ბეკურაშვილი („ლოკომოტივი"), გ. პეტრიაშვილი და გ. უნდილაშვილი (ორივე „სპარტაკი").

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა სამბისტების ი. ჯანგირაშვილისა და თ. ბეკურიშვილის წარმატება, რომლებმაც პირველად მოიპოვეს ჩემპიონობა.

**ქ. ნინიაშვილი**





# „ბ" კლასი მებრძოლის ნაკრებს

22 და 23 თებერვალს მართლაც საინტერესო ამბები მოხდა რუსთავის სტადიონზე. გარდა იმისა, რომ აქ თამაშობდა სსრ კავშირის უმაღლესი საფეხბურთო ინსტანცია — ნაკრები გუნდი თავისი საუკეთესო ვარიანტით, ჩვენი რესპუბლიკის „ბ" კლასის გუნდებისათვის ამაზე უკეთესი შესაძლებლობის გამოძებნა საერთო მომზადებისა და ძალების გამოსაცდელად ძნელი წარმოსადგენია. მატჩი ნაკრებთან „ბ" კლასის თვითეული გუნდისათვის — ეს ნამდვილი სკოლაა და თუ ეს ასეა, ამ სკოლის „მოსწავლეებს" თბილისის „ლოკომოტივსა" და რუსთავის „მეტალურგს" სავსებით დამსახურებულად ეკუთვნით ფრიადები.

კარგი მომზადება აჩვენეს რუსთავის ფეხბურთელებმა 22 თებერვალს, როცა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს სსრ კავშირის II ნაკრებს და მხოლოდ ანგარიშით 0:2 წააგეს თამაში. რაც შეეხება „ლოკომოტივს", მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და სავსებით თანაბარ ბრძოლაში, როგორც ტოლი ტოლთან, მიაღწია ფრეს — 1:1.

რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი თამაშის მიზნად არ ისახავდა გამარჯვებას. კოლექტივს აქვს თავისი გარკვეული გეგმა, ამოცანები, მის თვითეულ წევრს ეძლევა განსაზღვრული დავალებები, კონკრეტული მითითებანი, მწვრთნელები ამოწმებენ ცალკეულ მოთამაშეებს, ხაზების ურთიერთმოქმედებას და ა. შ.

ჩვენს ნაკრებს დასახული აქვს უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა — მიაღწიოს წარმატებას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში: საამისო ნაბიჯი უკვე გადაიდგა შარშან ევროპის თასის გათამაშებაში და მზადებაც მიმდინარეობს იმ მიმართებით, რომ ეს მიღწევა განმტკიცებულ იქნას 1962 წელს. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდნენ ნაკრების ხელმძღვანელები გ. კაჩალინი და ან. სტაროსტინი, სწორედ ამიტომ მიმდინარეობს მოთამაშეთა ასეთი გულმოდგინე წვრთნა და შერჩევა. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, რა შეზღუდული მიზანიც არ უნდა დაისახოს საწვრთნელ მატჩში ნაკრებმა, მისი თამაში საბოლოოდ უნდა გამოიხატოს იმაში, რომ გაუშვას რაც შეიძლება ნაკლები გოლი და გაიტანოს მეტი.

თუ ამ ასპექტში განვიხილავთ ნაკრების მატჩს თბილისის „ლოკომოტივთან", ყოველგვარი კომპლიმენტის გარეშე უნდა ითქვას, რომ რკინიგზელებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს იგი. აღნიშნული მატჩი არ მიეკუთვნება ისეთთა კატეგორიას, როცა სუსტს არაფერი აქვს დასაკარგი, მთელ თავის ძალებს მობილიზაციას უკეთებს და „სამკვდრო-სასიცოცხლოდ" ებრძვის მოწინააღმდეგეს, ამასთან, როგორც წესი, ძირითადად ხელს უშლის მას ნამდვილი თამაშის გაშლაში. თბილისელებს ასე არ უთამაშნიათ. მათ არც თავდამსხმელი დაუწევიათ უკან, როგორც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე გუნდები, რომლებსაც წასაგები მატჩი აქვთ წინ; პირიქით, თბილისელებმა თვითონ გაშალეს თამაში, იერიშები კომბინაციურ პრინციპებზე ააგეს და მაყურებლებს ნამდვილი შემტევი ფეხბურთი აჩვენეს. აქტიურად ჩაატარეს თამაში ნახევარმცველებმა, რომელთაგან ერთ-ერთმა — მიროშნიკოვმა გაიტანა კიდეც გოლი შესანიშნავად გათამაშებული მრავალსაფეხურიანი კომბინაციის შემდეგ, ხოლო მეორემ — მუმლაძემ უშუალოდ შექმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი ნაკრების კართან.

დამაჯერებლად, კარგი ურთიერთმოქმედებით თამაშობდა რკინიგზელთა დაცვა და მეკარე, ხოლო თავდასხმა ხშირად გადიოდა კართან, რომლის წინ მოქმედებდნენ „ა" კლასის საუკეთესო მცველები. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივის" თამაში ამ დღეს მხოლოდ „შიშველი ენთუზიაზმი" კი არ იყო, არამედ უაღრესად კვალიფიციური, გეგმიანი და მოფიქრებული ფეხბურთი, რომელმაც ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა ამ კოლექტივის დიდი პოტენციური შესაძლებლობანი. ამიტომ იყო, რომ ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა მატჩის შემდეგ მოულოცა თბილისელთა გუნდს და ახალი წარმატებები უსურვა მას.

ანგარიში 1:1 თბილისის „ლოკომოტივის" დიდი წარმატებაა.

გუნდები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: სსრ კავშირის ნაკრები — მასლაჩენკო; მედაკინი, ნეტო, ჩოხელი; ვორონინი, მანოშინი; მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბატანოვი, მესხი (მუსაინოვი). „ლოკომოტივი" — რუხაძე; უსტაბაშიძე, კუჭავა, ოდიკაძე; მუმლაძე, მიროშნიკოვი; იაშვილი, ცერცვაძე, ახალკაცი, ურთქმელიძე, ივანოვი.

* * *

**სურათებზე:** (ზევით) ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი პონედელნიკი პირისპირ გავიდა მეკარე რუხაძესთან, მაგრამ ამ უკანასკნელმა შეძლო ბურთის აღება. (ქვევით). — სახიფათო მომენტი ნაკრების კართან. მეკარე მასლაჩენკო ფეხებში უვარდება „ლოკომოტივის" მარცხენა გარემარბს ა. ივანოვს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ტალინში შეიკრიბნენ რჩეული ფალავნები

(დასასრული)

(ტალინი), ბერიაშვილისა და გეიმანის (მინსკი) შეხვედრა ფრედ დამთავრდა. მაყურებელთა ინტერესი და მოწონება დაიმსახურა ძმები რობერტ და რეინგოლ შენგელიების ჭიდაობამ, გამარჯვება რეინგოლს დარჩა. თავისი ჩვეული საზრიანობით დაიწყო ბრძოლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა კიეველმა ნებიერიძემ, რომელმაც მეხუთე წუთზე წმინდად დაამარცხა შებეკი (მინსკი). ლომიძემ ქულებით მოუგო პიგიდინს (მოსკოვი), გოგიბერიძემ — კუპრინს (ლენინგრადი), თევზაძემ მე-7 წუთზე წმინდად დასცა გარაევი (ლენინგრადი).

პირველი დღის საერთო შედეგი ასეთია: საქართველოს 15 მოჭიდავიდან 10-მა მოიპოვა გამარჯვება, დაწესებულია მრავალი ჯილდო, მაგალითად; ტალინის თხილამურების ფაბრიკა აჯილდოვებს საზოგადოების საუკეთესო მოჭიდავეს, სპორტსაზოგადოება „კალევი" საუკეთესო ტექნიკის მქონე ახალგაზრდა სპორტსმენს. სხვადასხვა ჯილდოებია დანიშნული აგრეთვე სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისა და სხვათა მიერ.

**24 თებერვალი.** 6 საჯარიმო ქულის მიღების გამო შეჯიბრებას გამოეთიშნენ კუჭაძე, ბესტავაშვილი და რობერტ შენგელია. ამ დღეს ყურადღების ცენტრში იყო მოსკოველ ხუტბაევისა და თბილისელ რუბაშვილის შეხვედრა. საკმარისი გახდა წამით ყურადღების შესუსტება და რუბაშვილი ჩოქბჯენში აღმოჩნდა. ახლა საჭირო იყო დაკარგული ქულის ანაზღაურება და მერე წინ გასვლა. ეს არც თუ ადვილი საქმე იყო ისეთ ძლიერ მოჭიდავესთან, როგორიც ხუტბაევია. მაგრამ რუბაშვილმა ეს შეძლო. ჯერ მე-6 წუთზე ელვის სისწრაფით ფეხებში შეუვარდა და ამოაყირავა მოწინააღმდეგე, ხოლო ჭიდაობის დასასრულს — მე-11 წუთზე მოგვერდით ლეიბის კიდესთან წააქცია. ამ წონაში კარგად გამოიყურებიან აგრეთვე ხოხაშვილი და მარტყოფიშვილი.



ქვესაშუალო წონაში სალარაძემ მე-5 წუთზე წმინდად დაამარცხა ტორტოვი (ორჯონიკიძე), ხოლო შენგელიამ — ღუხაშვილი (ლვოვი). ქვემძიმე წონაში ლომიძემ ქულებით მოუგო რუმას (ტალინი), გოგიბედაშვილი დამარცხდა ზემლინოვთან (იევსკი).

გუშინ დილით შეყრილაძე შეხვდა ერთ-ერთ ძლიერ მოწინააღმდეგეს — მოსკოველ ბროხშტიტს და მეშვიდე წუთზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ალიევმა ალმა-ატელ გობსატაროვთან ყაიმს მიაღწია. ამრიგად, შეიძლება შევაჯამოთ ამ წონაში მეოთხე წრის შედეგი. ალიევს აქვს ორი საჯარიმო ქულა შეყრილაძეს — ერთი, ლვოველ ლიტვინს — ერთი, ბაქოელ ჯამილოვს — ხუთი.

ოთხი წრის შემდეგ რუბაშვილს აქვს ერთი საჯარიმო ქულა, კაშკინს (ტალინი) ერთი ქულა, გაჯიევს (მახაჩ-ყალა) ჯარიმა არა აქვს.

ქვესაშუალო წონაში ექვსი საჯარიმო ქულის მიღების გამო ჩემპიონატს გამოეთიშნენ ბერიაშვილი და შენგელია. სალარაძემ დაამარცხა ერევნელი აგაბეკიანი და ოთხი საჯარიმო ქულა აქვს. ნებიერიძე (კიევი) საჯარიმო ქულების გარეშეა, სააკიანს (ერევანი) სამი ქულა აქვს.

ქვემძიმე წონაში გურევიჩს (კიევი) აქვს ერთი საჯარიმო ქულა. ლომიძეს, ზემლიანოვს — ოთხ-ოთხი თვითეულს, ალბულს — ერთი.

შეჯიბრება დღეს დამთავრდება.

**ნ. გუგუშვილი,**

**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

**სურათზე:** ვ. რუბაშვილი აკეთებს გდებას და იღებს გამარჯვებისათვის საჭირო ქულას.

# შესარჩევი ტურნირი

23-24 თებერვალს მოსკოვში ჩატარდა მსოფლიო პირველობის შესარჩევი შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში.

უმჩატესი წონის მოჭიდავეთა შორის გაიმარჯვა კოჩერგინმა. მჩატე წონაში შეჯიბრება არ გათამაშებულა. აქ პირველ ნომრად არის კარავაევი. არ ჩატარდა აგრეთვე შეხვედრები მსუბუქ და მძიმე წონებში, სადაც პირველ ნომრებად შესაბამისად არიან ქორიძე და ბოგდანი.

ქვემსუბუქ წონაში პირველი ადგილი დაიკავა ლუდუშაურმა. ქვესაშუალო წონაში გვანცელაძემ მოიგო პირველი შეხვედრა, მაგრამ შემდეგ ხელის დაზიანების გამო აღარ გამოვიდა ხარბიელზე. მიუხედავად ამისა, გვანცელაძე პირველ ნომრადაა შეყვანილი ნაკრებში. ქვემძიმე წონაში პირველ ადგილზე გამოვიდა კიროვი. აბაშიძემ დაიკავა მესამე ადგილი.

აქ ჩამოთვლილი მოჭიდავეთაგან დაკომპლექტდა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი.



# მოლოდინი არ გამართლდა

როცა თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდმა სსრ კავშირის 1961 წლის პირველობის პირველი და მეორე მატჩი წააგო და ამის შემდეგ მომდევნო ორში გამარჯვება მოიპოვა, ყველას ეგონა, რომ საქართველოს კალათბურთელებმა შეძლეს თავიანთი ძალების მობილიზება და მორიგ მატჩში მოსკოვის „დინამოსთან" ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს იგი ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევდა. ამის საბაბიც იყო, რადგან თბილისელებმა 6 ქულით მოუგეს როსტოველ თანაკლუბელებს, ხოლო მოსკოვის დინამოელებმა ძლივს „გამოგლიჯეს" გამარჯვება როსტოველ კალათბურთელებს—56:53.

თამაში დაიწყო მოსკოველთა შეტევით. მაქსიმილიანოვასა და ერიომინას „ჩაკეტვა" სტუდენტებმა თავიდანვე ვერ შეძლეს და ანგარიში იზრდებოდა მოსკოველთა სასარგებლოდ. მე-11 წუთზე ბურევესტნიკელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 10:10, 12:12 და ერთი წუთის შემდეგ წინ გავიდნენ კიდეც — 14:12. მომდევნო წუთები დინამოელებს კარგს არას უქადდა. მათი მეტოქეები თითქოს გათამამდნენ, ყველა რგოლში ჯობდნენ მათ, მაგრამ ეს იყო მე-17 წუთამდე, რის შემდეგ მოსკოველ დინამოელებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. პირველი ტაიმი დამთავრდა დინამოელთა სასარგებლოდ ანგარიშით 28:24.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. ქულას ქულაზე აგროვებდნენ დინამოელები, ხოლო თბილისელები ძალზე ეპიზოდურად უტევდნენ მათ ფარს და მაშინაც არაზუსტად ტყორცნიდნენ. შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა — 72:55.

* * *

**სურათზე**: თბილისის „ბურევესტნიკისა" და მოსკოვის „დინამოს" თამაშის მომენტი.

ფოტო ი. იუნაევისა.

ჩვენი გაზეთის მკითხველი ო. ჩხეიძე გვეკითხება რომელი ქვეყნის გუნდში თამაშობს არგენტინელი ფორვარდი ომარ სივორი და შედის თუ არა იგი ამ ქვეყნის ნაკრებში.

მასვე აინტერესებს საკითხი: 1962 წლის მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში მონაწილეობს თუ არა სამხრეთ კორეის გუნდი.

არგენტინელი ფორვარდი ო. სივორი კარგა ხანია, რაც შეიძინა იტალიის კლუბმა „იუვენტუსმა", ვინაიდან ო. სივორის ჯერჯერობით არ მიუღია იტალიის ქვეშევრდომობა, მას უფლება არა აქვს ითამაშოს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში.

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში სამხრეთ კორეის გუნდი შეყვანილია ქვეჯგუფში იაპონიისა და ინდონეზიის გუნდებთან ერთად. ვინაიდან ინდონეზიელებმა უარი განაცხადეს გათამაშებაში მონაწილეობის მიღებაზე, შეჯიბრება ჩატარდება დარჩენილ ორ გუნდს შორის. პირველი მათი მატჩი უკვე შედგა და დამთავრდა კორეელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ფინალში მონაწილეობის უფლებისათვის იაპონია-სამხ. კორეის გუნდებს შორის გამარჯვებული შეხვდება იუგოსლავიისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის გამარჯვებულს.

## ლელო პასუხობს

**ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის კოლმეურნე გ. ელიზარაშვილი კითხულობს: როდის შემოიღეს საჭადრაკო საათები და როგორ იყენებენ მას.**

საჭადრაკო საათების შემოღება მოჭადრაკეებს თვით ცხოვრებამ უკარნახა. იყო შემთხვევა, როცა ზოგი მოჭადრაკე თვითეულ სვლაზე ორ დღეს ფიქრობდა. ჭადრაკის ისტორიას ახსოვს ასეთი კურიოზიც. ინგლისელმა მოჭადრაკემ სტაუნტონმა დათმო მოგებული მატჩი მხოლოდ იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე თვითეულ სვლას 2,5 საათს ანდომებდა.

პირველად საჭადრაკო საათები შემოიღეს გასული საუკუნის 70-იან წლებში, ხოლო შემდგომში დადგინდა სათამაშო დროის შესაფერისი კონტროლი. ამჟამად მსოფლიოში დაწესდა დროის ასეთი კონტროლი: თვითეული მოწინააღმდეგეს ეძლევა 2,5 საათი 40 სვლაზე, შემდეგ 16 სვლაზე თითო საათი დროს დაგროვებით. ასეთი წესით ეწყობა დიდი ტურნირები და მატჩები მსოფლიო პირველობაზე.

# ფეხბურთში
# მსოფლიო ჩემპიონატის წინ
## შესარჩევი თამაშები ევროპის ზონებში

**პირველი ზონა.** შვეცია-ბელგია — 2:0, ბელგია-შვეიცარია — 2:4, შვეიცარია-ბელგია — 21 მაისს, შვეცია-შვეიცარია — 28 მაისს — შვეიცარია-შვეცია — 28 ოქტომბერს.

**მეორე ზონა:** ფინეთი-საფრანგეთი—1:2, საფრანგეთი-ბულგარეთი — 3:0, ფინეთი-ბულგარეთი — 16 ივნისს, საფრანგეთი-ფინეთი — 27 სექტემბერს, ბულგარეთი-ფინეთი — 29 ოქტომბერს, ბულგარეთი-საფრანგეთი — 11 ნოემბერს.

**მესამე ზონა:** ჩრდილოეთ ირლანდია-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 3:4, საბერძნეთი-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — 0:3, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-ჩრდილოეთ ირლანდია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა-საბერძნეთი, ჩრდილოეთ ირლანდია-საბერძნეთი, საბერძნეთი-ჩრდილოეთ ირლანდია — თამაშები ჯერ არაა დანიშნული.

**მეოთხე ზონა:** უნგრეთი-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 16 აპრილს, ჰოლანდია-უნგრეთი — 30 აპრილს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-ჰოლანდია — 14 მაისს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-უნგრეთი — 10 სექტემბერს, ჰოლანდია-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 1 ოქტომბერს, უნგრეთი-ჰოლანდია — 22 ოქტომბერს.

**მეხუთე ზონა:** ნორვეგია-თურქეთი — 1 ივნისს, საბჭოთა კავშირი-თურქეთი — 18 ივნისს, საბჭოთა კავშირი-ნორვეგია — 1 ივლისს, ნორვეგია-საბჭოთა კავშირი — 23 აგვისტოს, თურქეთი-ნორვეგია — 29 ოქტომბერს, თურქეთი-საბჭოთა კავშირი — 12 ნოემბერს,

**მეექვსე ზონა:** ლუქსემბურგი-ინგლისი — 0:9, პორტუგალია-ლუქსემბურგი — 19 მარტს, ინგლისი-პორტუგალია — 10 მაისს, პორტუგალია-ინგლისი — 21 მაისს, ინგლისი-ლუქსემბურგი, ლუქსემბურგი-პორტუგალია — თამაშები ჯერ არაა დანიშნული,

**მეშვიდე ზონა:** თამაშებში უარი განაცხადა რუმინეთმა. იტალიის გუნდი შეხვდება შუა აღმოსავლეთის ზონაში გამარჯვებულს (ისრაელს ან ეთიოპიას).

**მერვე ზონა:** შოტლანდია-ირლანდია — 3 მაისს, ირლანდია-შოტლანდია — 14 მაისს, შოტლანდია-ჩეხოსლოვაკია, ჩეხოსლოვაკია-ირლანდია, ირლანდია-ჩეხოსლოვაკია — თამაშები ჯერ არაა დანიშნული.

**მეცხრე ზონა:** უელსი-ესპანეთი — 29 აპრილს, ესპანეთი-უელსი— — 18 მაისს. მათ შორის გამარჯვებული გუნდი შეხვდება აფრიკაში გამარჯვებულს, სადაც ბრძოლა მაროკოსა და განას შორის მიმდინარეობს.

**მეათე ზონა:** იუგოსლავია-პოლონეთი, პოლონეთი-იუგოსლავია — თამაშები ჯერ არაა დანიშნული. გამარჯვებული შეხვდება აზიის წარმომადგენელს (იაპონიას ან სამხრეთ კორეას).



ნახ. ი. ერაძისა.

# ხუთის სარჩელი

ხუთმა ცნობილმა არგენტინელმა ფეხბურთელმა თავიანთი კლუბის პრეზიდენტზე სარჩელი წარადგინა სასამართლოში, მომჩივნები არიან: მენენდესი, ონეგო, სარატა, პაულინო და ჟოიი. მოპასუხეა „რივერ პლატას" საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი ლიბერტი.

სარჩელის მიზეზი გახდა კლუბის პრეზიდენტის, ან უკეთ შეფმენეჯერის, ლიბერტის კრიტიკა. მან განაცხადა, რომ მისი გუნდის „ვარსკვლავები" უკანასკნელ სეზონში საკმაო მონდომებითა და თავდადებით არ თამაშობდნენ, რითაც უმთავრესად უნდა აიხსნას „რივერ პლატას" ცუდი ადგილი გათამაშების ცხრილში.

რასაკვირველია, კლუბის უფროსის ასეთი გამოსვლა შეიძლება სრულიად კანონზომიერად ჩავთვალოთ. მაგრამ ამ ამბავში საკითხი ასეთი განცხადების მიზანშეწონილობისა თუ მიზანშეუწონლობის შესახებ, არ წარმოადგენს არსებითს. ჩვენთვის საყურადღებოა ის არგუმენტი, რომელიც ხუთ თავდამსხმელს მოყავს თავიანთ სარჩელში.

სარჩელში სწერია: „ლიბერტის მტკიცება დაბლა სწევს ჩვენ ფასს! მისი „კრიტიკის" შემდეგ ის კლუბები, რომლებსაც ჩვენი ყიდვის სურვილი ჰქონდათ, უეჭველად შეამცირებენ ჩვენზე შემოძლეულ თანხას. ლიბერტმა დასცა ჩვენი წონა ფეხბურთის კლუბების მეპატრონეთა თვალში და რადგანაც ჩვენ პროცენტულად წილს ვიღებთ ჩვენი სხვა კლუბში გადასაყვან თანხიდან, გვსურს ჩვენი სიმართლე სასამართლოს წინაშე დავამტკიცოთ".

როგორც ჩანს მოსამართლეები ამ პროცესში იოლი ამოცანის წინაშე არ აღმოჩნდებიან. ლიბერტი რასაკვირველია, ვერ შეძლებს მოიყვანოს თავისი მტკიცებისათვის დამაჯერებელი ფაქტები და ალბათ ეს „კვინტეტი" მოითხოვს, რომ მან უკან წაიღოს თავისი ნათქვამი. შესაძლოა აგრეთვე, რომ ისინი საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვენ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რომელიც მათ მიაყენა ლიბერტის განცხადებამ. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ეს არ არის ჩვენთვის მთავარი, არამედ ის, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ თვალნათლივ გვიჩვენებს თუ სადამდის შეიძლება მიაღწიოს სპორტმა, როდესაც მას ფინანსისტები და მენაჯერები განაგებენ.

# რეკორდი ფიცარნაგზე

ამას წინათ ჰონოლულში (აშშ) გამართულ შტანგისტთა შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდა ქვემსუბუქი წონის ძალოსანი ამერიკელი ი. ბერგერი, რომელმაც ორი ხელით აჰიმა 120 კგ 800 გრ წონის შტანგა და გააუმჯობესა საბჭოთა ძალოსან ე. მინაევის მსოფლიო რეკორდი.

ამავე შეჯიბრებაზე საშუალო წონაში ტ. კონომ აჰიმა 148 კგ 300 გრ და დაამყარა აშშ-ს ახალი რეკორდი. ორივე ეს სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც მარტში გაიმართება.

რედაქტორი **ი. უგულავა.**


**1 მარტი**
**„ბურევესტნიკის" სტადიონი**
**ფ ე ხ ბ უ რ თ ი**
**სსრკ I ნაკრები — „დინამო" (თბილისი)**
დასაწყისი 16 ს. 30 წ.
ბილეთები გაიყიდება 27 თებერვლიდან „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" სტადიონების სალაროებში დილის 10 საათიდან.



**28 თებერვალი**
**ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი**
**საკავშირო პირველობა**
**კალათბურთში**
ქალები
**„ბურევესტნიკი" (მინსკი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი)**
დასაწყისი 19 საათზე.



**საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილება და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პროპაგანდისა და აგიტაციის სექცია 27 თებერვალს საღამოს 7 საათზე მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში აწყობენ შეხვედრას სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრებთან.**
საღამოს დასასრულს ნაჩვენები იქნება კინოსურათი.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

1 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05457